ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მისია საქართველოში

სამუშაო მრგვალი მაგიდის შეხვედრა

თემაზე - „ლანდშაფტების პოლიტიკაში ინტეგრაცია“

2018 წლის 9-10 მარტს, ევროპის საბჭოს მისიით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით საქართველოში გაიმართა ლანდშაფტის ევროპული კონვენციის დანერგვის საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული სამუშაო შეხვედრა.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა ლანდშაფტის ევროპული კონვენციის (www.coe.int/EuropeanLandscapeConvention, www.coe.int/Conventioneuropeennedupaysage) მიზნების, ამოცანების, სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელების მეთოდების განხილვის, ერთობლივი პრობლემატური საკითხების განსჯისა და კამათის ფორმატში. კერძოდ განხილული იყო ევროპული კონვენციის ძირითადი მოთხოვნების - საკანონმდებლო ბაზის, მენეჯმენტის, სოციუმისა და საგანმანათლებლო სისტემაში ლანდშაფტის შეფასების, შენარჩუნების, დაცვის მიმართულებით მიმდინარე მდგომარეობა და ქმედებები - საქართველოში ევროპული კონვენციის განხორციელების სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაში.

შეხვედრაზე სიტყვითა და მოხსენებით გამოვიდნენ: საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის გარემოსდაცვითი პროგრამის ხელმძღვანელი ალვარო ორტეგა, ლანდშაფტის ევროპული კონვენციის აღმასრულებელი მდივანი Maguelonne DEJEANT-PONS, თბილისის ევროსაბჭოს ოფისის უფროსი Mr Cristian USE, ლიტვის, უნგრეთის, ფინეთის, საფრანგეთის გარემოს დაცვის სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, ქ.თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო გვენცაძე და სვები.

საქართველოში აღნიშნული მიმართულებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მარინა თუმანიშვილი, იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა:

- ინსტიტუციები და პოლიტიკა ლანდშაფტის ევროპული კონვენციის დანერგვაში - კანონმდებლობითი აღიარება; .
- ლანდშაფტური კონვენციის განხორციელებაში დაინტერესებული საზოგადოების, ადგილობრივი და რეგიონალური ავტორიტეტებისა და სხვა მხარეების თანამონაწილეობა;

- ევროპის ლანდშაფტური კონვენციის დანერგვის საშუალებები;
- ლანდშაფტის გაცნობიერება, სწავლება და განათლება.
- კამათსა და დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ილიას უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ, გარემოს დაცვის სამინისტრომ და სხვებმა.

მონაწილეები შეთანხმდნენ ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის დაცვისა და შენარჩუნების - ლანდშაფტის ევროპული კონვენციის ძირითადი მოთხოვნების მხარდაჭერაზე, მისი დანერგვის ხელშეწყობის სტრატეგიაზე საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად გადაწყდა საკომუნიკაციო ქსელის ჩამოყალიბება, ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება მომავალში, განსჯასა და კვლევებში საგანმანათლებლო სექტორის აქტიური თამონაწილეობით უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარება სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე.

ტექსტი მოამზადა
ნინო ჩაჩავამ

INNOVATION
ideas
creative
motivation
original
finance
vision
communication
management
goals
strategy
teamwork
focus
innovate
method
creative
company
business
operations
design
new
development

INNOVATION
KEEP IT SIMPLE
VISION
HEY YOU
TEAMWORK
SUCCESS
STARTUP